საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №457

2005 წლის 5 მაისი

ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი ყოფნის იზოლატორში მყოფ პირთა სადღეღამისო კვების ნორმების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის №614 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების მე-11 პუნქტის „ა" და „ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი ყოფნის იზოლატორში მყოფ პირთა სადღეღამისო სასურსათო ულუფის ნორმა №1 დანართის შესაბამისად.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 200 7 წლის 17 თებერვლის ბრძანება № 1335 - სსმ III, № 145 , 18 . 10 . 200 7 წ., მუხ. 1633

2. დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი ყოფნის იზოლატორში მყოფ ორსული და მეძუძური დედებისათვის და აგრეთვე ტუბერკულოზით, დისტროფიით, წყლულოვანი ავიტამინოზით და ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პირთა სადღეღამისო სასურსათო ულუფის ნორმა №2 დანართის შესაბამისად.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 200 7 წლის 17 თებერვლის ბრძანება № 1335 - სსმ III, № 145 , 18 . 10 . 200 7 წ., მუხ. 1633

3. დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი ყოფნის იზოლატორში მყოფ არასრულწლოვანთათვის სადღეღამისო სასურსათო ულუფის ნორმა №3 დანართის შესაბამისად.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 200 7 წლის 17 თებერვლის ბრძანება № 1335 - სსმ III, № 145 , 18 . 10 . 200 7 წ., მუხ. 1633

3^1 . დამტკიცდეს ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი ყოფნის იზოლატორში მყოფ პირთა სადღეღამისო მშრალი სასურსათო ულუფის ნორმა №4 დანართის შესაბამისად.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 200 7 წლის 17 თებერვლის ბრძანება № 1335 - სსმ III, № 145 , 18 . 10 . 200 7 წ., მუხ. 1633

4. ამ ბრძანების უზრუნველყოფა განხორციელდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

5. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის

შემსრულებელი ბ. ბრეგაძე

დანართი 1

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი ყოფნის იზოლატორებში

მყოფ პირთა სადღეღამისო კვების ნორმები

	სურსათის დასახელება	დღიური ნორმა ბრუტო, გ	ენერგეტიკული ღირებულება კკალ
1	პური I ხარისხის ფქვილისაგან	550	1298,0
2	ხორბლის ფქვილი	10	32,8
3	ბურღულეული სხადასხვა	100	327,5
4	მაკარონის ნაწარმი	20	64,60
5	ხორცი	60	70,08
6	თევზი	80	82,8
7	მარგარინი და სხვა ცხიმები	45	378,0
8	მცენარეული ზეთი	30	179,8
9	შაქარი	20	119,7

10	ჩაი	1	1,4
11	მარილი	20	
12	კარტოფილი	500	275,8
13	ბოსტნეული	300	88,2
14	ტომატის პასტა	3	3,2
15	წიწაკა, საკმაზ-სანელებლები	0,5	
			2921,88

დანართი 2

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი ყოფნის იზოლატორებში ორსულ და მეძუძური დედების, ტუბერკულიოზით, დისტროფიით, წყლულოვანი ავიტამინოზით და ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პირთა სადღეღამისო კვების ნორმები

	სურსათის დასახელება	დღიური ნორმა ბრუტო, გ	ენერგეტიკული ღირებულება კკალ
1	პური I ხარისხის ფქვილისაგან	550	1298,0
2	ხორბლის ფქვილი	10	32,8
3	ბურღულეული სხადასხვა	100	327,5
4	მაკარონის ნაწარმი	20	64,6
5	რძე	350	207,1
6	ხაჭო	50	85,9
7	არაჟანი	20	42,2
8	კვერცხი	1ც	136,6
9	ხორცი	100	218,0
10	თევზი	80	82,8
11	მარგარინი და სხვა ცხიმები	45	378,0
12	მცენარეული ზეთი	30	179,8
13	შაქარი	60	239,2
14	ჩაი	1	1,4
15	მარილი	20	-
16	კარტოფილი	500	275,8
17	ბოსტნეული	300	88,2
18	ტომატის პასტა	3	3,2
19	წიწაკა, საკმაზ-სანელებლები	0,5	-
			3664,3

დანართი 3

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი ყოფნის იზოლატორებში არასრულწლოვანთა სადღეღამისო კვების ნორმები

	სურსათის დასახელება	დღიური ნორმა ბრუტო, გ	ენერგეტიკული ღირებულება კკალ
1	პური I ხარისხის ფქვილისაგან	550	1298,0
2	ხორბლის ფქვილი	10	32,8
3	ბურღულეული სხადასხვა	100	327,5
4	მაკარონის ნაწარმი	20	64,60
5	ხორცი	60	70,08
6	თევზი	80	82,8
7	კვერცხი	1ც	136,6
8	მარგარინი და სხვა ცხიმები	45	378,0
9	მცენარეული ზეთი	30	179,8
10	შაქარი	20	119,7
11	ჩაი	1	1,4
12	მარილი	20	
13	კარტოფილი	500	275,8
14	ბოსტნეული	300	88,2

15	ხილი ახალი	200	90,13
16	ტომატის პასტა	3	3,2
17	წიწაკა, საკმაზ-სანელებლები	0,5	
			3148,61

დანართი №4

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი ყოფნის იზოლატორში მყოფ პირთა სადღეღამისო მშრალი სასურსათო ნორმა

№	სურსათის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა
1	მშრალი პური	გრ	300-400
2	მშრალი სუპი (50-100 გრ-იანი)	ცალი	1
3	საქონლის ხორცის კონსერვი	გრ	325-400
4	პაშტეტი	გრ	100-150
5	შაქარი	გრ	20
6	ჩაი ერთჯერადი (2 გრ-იანი)	ცალი	1

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 200 7 წლის 17 თებერვლის ბრძანება № 1335 - სსმ III, № 145 , 18 . 10 . 200 7 წ., მუხ. 1633
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №1045 - ვებგვერდი, 26.12.2011 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 27 იანვრის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 31.01.2014 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №729 - ვებგვერდი, 28.12.2016 წ.